ასოციაცია ანიკა იწვევს ინდივიდუალურ ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს საქართველოს 4 რეგიონში - აჭარა, იმერეთი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთი, მინიმუმ 4 წინასწარ განსაზღვრული სოციალური სერვისის გასაძლიერებლად საჭირო კომპეტენციების პაკეტების, სასწავლო მასალებისა და ტრენერთა ტრენინგის პროგრამების შესამუშავებლად.

## 1. ინფორმაცია ორგანიზაციისა და პროექტის შესახებ

ასოციაცია ანიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 1997 წლიდან ხელს უწყობს შშმ პირების უფლებების დაცვას, ინკლუზიასა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. ორგანიზაცია მხარს უჭერს შშმ ადამიანების უფლებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების დანერგვა/განვითარებას ქვეყნის მასშტაბით.

ასოციაცია „ანიკა“ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და WV Germany-ის ფინანსური მხარდაჭერით, World Vision საქართველოს ფონდთან პარტნიორობით, კახეთის რეგიონალური განვითარების ცენტრის (KADC), ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის (BSI) და ცვლილებები თანასწორი უფლებებისთვის (CER)-ის თანამონაწილეობით ახორციელებს პროექტს **“გარე მომსახურებაზე გატანილი სოციალური სერვისები საქართველოში-ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხარისხიანი მომსახურებისთვის”**. პროექტის მიზანია სამიზნე რეგიონებში, 24 ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის გაძლიერების გზით, მოწყვლადი ჯგუფების დაცვა და მათი ჩართულობის მაქსიმალური უზრუნველყოფა, ადგილობრივ დონეზე მაღალი ხარისხის, გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) პრინციპებზე დაფუძნებული სოციალურ მომსახურებებისგზით. პროექტის ფარგლებში მოხდება 24 ადგილობრივი CSO-ს გაძლიერება ოთხ რეგიონში, მათი შესაძლებლობების განვითარება, ორგანიზაციის მართვის, ფინანსური მდგრადობის, ადვოკატირების უნარებისა და სერვისების განვითარების კუთხით. პროექტის ფარგლებში, შეიქმნება და ამოქმედდება სულ მცირე ოთხი ახალი სოციალური სერვისი, რომლითაც ისარგებლებს 2000-ზე მეტი ბენეფიციარი. პროგრესის შეფასების ინდიკატორის გათვალისწინებით, პროექტის ბოლოს 10 % ზრდა უნდა მოხდეს მინიმუმ სამი მიმართულებით, თოთოეული ორგანიზაციის ფარგლებში. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შეიქმნება სოციალური მომსახურებების სტანდარტის შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმი,

რომელიც დამტკიცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

## 2. დავალების მიზნები და ამოცანები

### 2.1 მიზანი

დავალების მიზანია ხელი შეუწყოს სოციალურ სერვისებს მომწოდებელი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO-ები) გაძლიერებას სერვისების მიწოდებაში. ამ მიზნით ექსპერტი (ან ექსპერტთა ჯგუფი) განსაზღვრული 4 სერვისისთვის შეიმუშავებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) პრინციპებზე დაფუძნებული სერვისების კომპეტენციების პაკეტების სამუშაო ვერსიები, უზრუნველყოს მათი განხილვა ადგილობრივ CSO-ებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის საფუძველზე, დაასრულოს პაკეტების შემუშავება. ასევე ექსპერტი უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების, ასევე ტრენერთა ტრენინგის (ToT) პროგრამის შემუშავებას.

### 2.2 ამოცანა

**ლოტი N1: მინიმუმ 4 სოციალური სერვისის კომპეტენციების პაკეტის შემუშავება:**
1. ბავშვთა ადრეული განვითარება; 2. შშმ ბავშვთა და პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისი; 3. შშმ ბავშვთა დღის ცენტრი 4. შშმ პირთა დღის ცენტრი;

- გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის (GESI) პრინციპებზე დაფუძნებული კომპეტენციების პაკეტების სამუშაო ვერსიების შექმნა ოთხი განსაზღვრული სოციალური სერვისისთვის; ;
- პაკეტების განხილვა ადგილობრივ CSO-ებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- მიღებული უკუკავშირისა და რეკომენდაციების საფუძველზე პაკეტების საბოლოო ვერსიების შემუშავება.
- თითოეული სერვისის პაკეტის დამტკიცება დონორთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა უწყებებთან.

ლოტი 2: **სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების შემუშავება:**

- GESI-სენსიტიური სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების შემუშავება თითოეული სერვისისთვის, როგორც ახალი, ისე მოქმედი თანამშრომლებისთვის;

### ლოტი 3: ტრენერთა ტრენინგის პროგრამა:

- GESI-სენსიტიური ტრენერთა ტრენინგის (ToT) კურიკულუმის, მოდულისა და მასალების შემუშავება, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს.

## 3. ექსპერტის/ების ფუნქციები და მოვალეობები

ლოტი 1 – კომპეტენციების პაკეტების შემუშავება:

- განახორციელოს საჭირო კვლევა და ანალიზი თითოეული სოციალური სერვისის სპეციფიკურ საჭიროებებზე;
- შეიმუშაოს თითოეული GESI სენსიტიური კომპეტენციების პაკეტები;
- უზრუნველყოს სამუშაო ვერსიების განხილვა ადგილობრივ CSO-ებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენა სამუშაო პროცესზე და მიღებულ შედეგებზე.

ლოტი 2 – სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების შემუშავება:

- შექმნას GESI-სენსიტიური სასწავლო და საგანმანათლებლო/სატრენინგო მასალები მასალები თითოეული სერვისისთვის;
- უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენა სამუშაო პროცესზე და მიღებულ შედეგებზე.
-

ლოტი 3: ტრენერთა ტრენინგის პროგრამის (ToT) შემუშავება:

- შეიმუშაოს GESI-სენსიტიური ტრენერთა ტრენინგის კურიკულუმი, მოდულები და შესაბამისი სასწავლო მასალები;
- უზრუნველყოს ToT მასალების პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუქციებისა
- უზრუნველყოს შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენა სამუშაო პროცესზე და მიღებულ შედეგებზე.

## 4. ექსპერტის  კვალიფიკაცია და გამოცდილება

- მაგისტრის ან უფრო მაღალი ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, საჯარო პოლიტიკაში, სამართალში ან ორგანიზაციულ განვითარებაში;
- მინიმუმ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება სოციალური სერვისების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- გამოცდილება GESI პრინციპების ინტეგრირებაში პოლიტიკასა და პროგრამებში;
- საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა არასამთავრობო სექტორისა და სოციალური სერვისების სფეროში;
- გამოცდილება ტრენინგების ჩატარებასა და ტრენერთა ტრენინგების განხორციელებაში;
- წინა თანამშრომლობა საერთაშორისო ან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩაითვლება უპირატესობად;
- მაღალი ანალიტიკური და წერითი უნარები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## 5.  სამუშაოს განხორციელების პერიოდი

- სამუშაოს განხორციელების პერიოდი განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის ვადაში

## 6. დავალებები, ანგარიშგება, განხორციელების ვადები:

**ლოტი №1 — მინიმუმ 4 სოციალური სერვისის კომპეტენციების პაკეტის შემუშავება**

**სერვისები:**

1. ბავშვთა ადრეული განვითარება
2. შშმ ბავშვთა და პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისი
3. შშმ ბავშვთა დღის ცენტრი
4. შშმ პირთა დღის ცენტრი

| ეტაპი | საქმიანობა | შედეგი / ანგარიშგების ფორმატი | ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | არსებული მონაცემების, სტანდარტების და საერთაშორისო პრაქტიკის desk-review | მოკლე ანალიზის დოკუმენტი (3–5 გვერდი) | 1 კვირა |

| ეტაპი | საქმიანობა | შედეგი / ანგარიშგების ფორმატი | ვადა |
|---|---|---|---|
| 2 | GESI პრინციპებზე დაფუძნებული კომპეტენციების პაკეტის სამუშაო ვერსიების მომზადება თითოეული სერვისისთვის | 4 სამუშაო ვერსია (თითო სერვისზე) PDF ფორმატში | 4 კვირა |
| 3 | სამუშაო ვერსიების განხილვა ადგილობრივ CSO-ებთან და დაინტერესებულ მხარეებთან (შეხვედრები/ფოკუს ჯგუფები) | შეხვედრების ჩანაწერები და მონაწილეთა სია | 1 კვირა |
| 4 | მიღებული რეკომენდაციების ანალიზი და პაკეტების საბოლოო ვერსიის დამტკიცება | 4 საბოლოო პაკეტი (თითო სერვისზე) | 2 კვირა |

---

### ლოტი №2 — სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების შემუშავება

| ეტაპი | საქმიანობა | შედეგი / ანგარიშგების ფორმატი | ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | საჭიროებების ანალიზი — რა ცოდნა/უნარები სჭირდება თითოეული სერვისის თანამშრომელს | საჭიროებების შეფასების მოკლე ანგარიში | 1 კვირა |
| 2 | GESI-სენსიტიური სასწავლო მასალების შექმნა თითო სერვისზე (პრეზენტაციები, გაიდლაინები, პრაქტიკული სავარჯიშოები) | მინ. 4 სასწავლო პაკეტი PDF + editable ფორმატში | 3 კვირა |
| 3 | მასალების წარდგენა მცირე ჯგუფებში | შეხვედრების ანგარიში | 1 კვირა |
| 4 | მასალების საბოლოო ვერსიის დამტკიცება | საბოლოო პაკეტები | 1 კვირა |

---

### ლოტი №3 — ტრენერთა ტრენინგის (ToT) პროგრამის შემუშავება

#### კურიკულუმი, მოდული, მასალები — თეორიული და პრაქტიკული ნაწილი

| ეტაპი | საქმიანობა | შედეგი / ანგარიშგების ფორმატი | ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | ტრენერების უნარებისა და ცოდნის მოთხოვნების განსაზღვრა | მოთხოვნების ჩამონათვალი | 1კვირა |

| ეტაპი | საქმიანობა | შედეგი / ანგარიშგების ფორმატი | ვადა |
|---|---|---|---|
| 2 | ToT კურიკულუმის და მოდულის შემუშავება | სრული კურიკულუმი (საგაკვეთილო გეგმები, მოდულების აღწერა) | 2 კვირა |
| 3 | სასწავლო მასალების მომზადება (სლაიდები, სავარჯიშოები, კეის სტადები) | სასწავლო პაკეტი (Editable + PDF) | 2 კვირა |
| 4 | ToT პროგრამის პრეზენტაცია/შეთანხმება დამკვეთთან | დამტკიცებული ToT პაკეტი | 1კვირა |

---

# ჯამური განხორციელების ვადები

| ლოტი | საერთო ვადა |
|---|---|
| ლოტი №1 | 6 კვირა |
| ლოტი №2 | 6 კვირა |
| ლოტი №3 | 5 კვირა |

**შენიშვნა:** ლოტები შეიძლება ნაწილობრივ პარალელურად განხორციელდეს, რის შედეგადაც შესასრულებელი სამუშაოს ვადა შეადგენს 4 თვესს.

### 7. გადახდის პირობები

ექსპერტისთვის გუნდისათვის ანაზღაურების გადახდა განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

### 8. ანგარიშვალდებულება, ზედამხედველობა

შერჩეული ექსპერტი/ები ანგარიშვალდებული იქნება პროექტის დირექტორთან , კოორდინატორთან და საჭიროების შემთხვევაში დონორთან.

### 10. Tor  მომსახურებით დაინტერესებულთა განაცხადის წარდგენა

დაინტერესებულმათამთხვევაში დონორთანა ტაპობრივადრეკომენდაციების დეტ რომლის წარდგენა შესაძლებელია როგორც ერთ, ისე რამდენიმე ლოტზე.  განაცხადი უნდა მოიცავდეს ტექნიკურ წინადადებას და ფინანსურ შეთავაზებას.

*I. ტექნიკური წინადადება უნდა მოიცავდეს:*

1) ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ: სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა.

2) განმცხადებლის გამოცდილების წერილობითი აღწერა, რომელიც ადასტურებს ToR-ის მე-4 პუნქტით გნსაზღვრულ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილებას

3) ტექნიკურ დავალებაში მოცემული სამუშაოების განხორციელების პირველადი გეგმა-გრაფიკი;

4) CV

*II. ფინანსური შეთავაზება*

წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკე თითოეულ არჩეულ ლოტზე; ფინანსური წინადადება უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რომელიც შესასრულებელი სამუშოების განხორციელებისთვის იქნება საჭირო (მაგ.: ჰონორარი, ტრანსპორტირება, განთავსება, ა.შ.). ბიუჯეტი უნდა მომზადდეს ლარში და მოიცავდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ყველა შესაძლო გადასახადს, დამატებითი ღირებულების გადასახადის გარდა.

## 11. შეფასება

ექსპერტის მომსახურებით დაინტერესებული განმცხადებელი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ელ. ფოსტაზე მიღებული დოკუმენტაციის განხილვა, ტექნიკურ დავალებაში მოცემულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- განმცხადებლის კვალიფიკაცია და გამოცდილება (40%);
- გასაუბრება (20%);
- ფინანსური შეთავაზების ოდენობა (40%).

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე მომზადებული ტექნიკური წინადადება და ფინანსური შეთავაზება ელექტრონულად შემდეგ ელ. ფოსტაზე: anika.information@gmail.com არაუგვიანეს 2025 წლის 10 სექტემბერი. გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ „ სოციალური სერვისების განვითარება“.

შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით პროექტის მენეჯერს მეილზე chankvetadzemaka@gmail.com